

## გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „აი ჯი ენერჯის“ მიერ მდ. მულხურაზე 40.2 მგვტ სიმძლავრის „მულხურა ჰესის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და  
ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „აი ჯი ენერჯი“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მესტიის მუნიციპალიტეტი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და  
განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- 2024 წლის 10 ოქტომბერი, 12:00 საათი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის  
შენობა
- 2024 წლის 10 ოქტომბერი, 15:00 საათი, მესტიის მუნიციპალიტეტი, ლენჯერის  
თემის პირველი საჯარო სკოლის შენობა
- 2024 წლის 11 ოქტომბერი, 11:00 საათი, მესტიის მუნიციპალიტეტი, ლატალის  
თემში არსებული გურამ თიკანაძის სახელობის სპორტული კომპლექსი

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი  
გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს  
ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების  
წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და  
მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024  
წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი  
N150 ან ელფოსტაზე: [eia@mepa.gov.ge](mailto:eia@mepa.gov.ge) (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელფოსტაზე  
გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).  
დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი  
დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას  
უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.  
საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი  
ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელფოსტა:  
[ph@eiec.gov.ge](mailto:ph@eiec.gov.ge), მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).



სსიპ გარემოსდაცვითი  
ინფორმაციისა და  
განათლების ცენტრი



გარემოს ეროვნული  
სააგენტო

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 12-ე მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა **2024 წლის 27 აგვისტოს**. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:  
<https://ei.gov.ge/ka/info/9536ef1f-5004-4f43-a2e5-dec59283e5aa>